ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი N1

დაბა ქედა, 09 თებერვალი, 2026 წელი.

სხდომა დაიწყო: 12:00 საათზე.
სხდომა დამთავრდა: 12:20 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა ამირან წულუკიძე - ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
ამირან ცინცაძე - კომისიის წევრი;
რეზო თურმანიძე - კომისიის წევრი;
ლევან ბერიძე - კომისიის წევრი;
მერაბ ნაკაშიძე - კომისიის წევრი;
ლევან ვერძაძე - კომისიის წევრი;
რამაზ თავდგირიძე - კომისიის წევრი;
ჯამბულ შარაბიძე - კომისიის წევრი.

სხდომას ასევე ესწრებოდნენ:
მუხრან სალაძე - საკრებულოს აპარატის უფროსი;
ციური ზაქარაძე - საკრებულოს კომისიებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი;
ნანა ბერიძე - საკრებულოს აპარატის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში;
ეკა გოგუაძე - მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.

ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრთა
სარეგისტრაციო ფურცელი

09.02.2026 წელი

№	სახელი, გვარი	თანამდებობა	ხელმოწერა
1	ამირან წულუკიძე	კომისიის თავმჯდომარე	
2	რეზო თურმანიძე	კომისიის წევრი	
3	ამირან ციწცაძე	კომისიის წევრი	
4	ლევან ვერძაძე	კომისიის წევრი	
5	ლევან ბერიძე	კომისიის წევრი	
6	მერაბ ნაკაშიძე	კომისიის წევრი	
7	რამაზ თავდგირიძე	კომისიის წევრი	
8	ჯამბულ შარაბიძე	კომისიის წევრი	

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგი ჩამოაყალიბა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი.

მომხსენებელი: მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის
მოვალეობის შემსრულებელი ეკა გოგუაძე

მოისმინეს: სხდომის თავჯდომარემ განმარტა, რომ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოვიდა „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი. (განცხადების ნომერი: 12-95260362-95; განცხადების თარიღი: 05.02.2026).

მერიის საფინანსო სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა ეკა გოგუაძემ კომისიის წევრებს გააცნო ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ცვლილებათა რეესტრი და ისაუბრა თითოეულ მუხლში შესატანი ცვლილების აუცილებლობაზე.

კომისიის წევრებს წარმოდგენილი საკითხის მიმართ შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ საკითხი კენჭისყრაზე დააყენა:
მომხრე: 7
წინააღმდეგი: 1

საკითხს მხარი არ დაუჭირა კომისიის წევრმა - ჯამბულ შარაბიძემ

კომისიამ გადაწყვიტა:
მიზანშეწონილად ჩაითვალოს „ქედის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 26 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის დამტკიცება საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე წარმოდგენილი სახით.

კომისიის თავმჯდომარემ სხდომა 12:20 საათზე დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე: **ამირან წულუკიძე**

ოქმი შეადგინა:
საკრებულოს აპარატის პირველი
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი
კომისიებთან ურთიერთობის საკითხებში **ნანა ბერიძე**